20.06.2018

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში
2018 წლის მაისი

იმპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0,9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 7,8 პროცენტიანი ზრდა.

წლიურ პერიოდში ფასები 8,8 პროცენტით გაიზარდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 13,7 პროცენტიანი ზრდა. რაც შეეხება სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 0,3 პროცენტიანი ზრდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის მაისში იმპორტის ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2017 წლის მაისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**107.8**	**7.85**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**100.3**	**-0.01**
D	**გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**108.8**	**7.81**
DF	კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი	137.5	4.24
DL	ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობები	113.5	1.29
E	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**	**113.7**	**0.05**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

იმპორტის ფასების ინდექსი
(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge